საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის #4-ში, ღვინის ქარხნისა და მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წ. 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის თარიღი	10.01.2024

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პირობითი აღნიშვნები;
4. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
5. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა;
6. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები;
7. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები;
8. გზა-კიბის დეტალური ნახაზები;
9. გარე კედლების დეტალური ნახაზები;
10. სახურავის ანაწყობის დეტალური ნახაზები;
11. კარის დეტალური ნახაზები;
12. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
13. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილი *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
14. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
15. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
16. წყალსადენი მოწყობილობების დეტალური ნახაზები *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
17. ნიშნების დეტალური ნახაზები;

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 4

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 5

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 6

მისაწვდომობის შეფასება ---------- 7

შიგა გარემოს შეფასება ---------- 8

გარე კედლების შეფასება ---------- 9

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 10

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 11

ლიფტების და გადაშზიდი სისტემების შეფასება ---------- 12

ატრიუმისადმი მოთხოვნების შეფასება ---------- 13

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის #4-ში, #72.12.02.281 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ #5220810 ბრძანების საფუძველზე გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. 2022 წლის 27 აპრილს #5913734 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ამ ეტაპზე დაგეგმილია შეთანხმებული დოკუმენტაციის კორექტირება. კორექტირების შედეგად იცვლება შემდეგი:

- 0.00 ნიშნულზე ე-მ მონაკვეთში „3“ და „4“ ღერძებზე მონოლითური კედლების გაბარიტები შემცირებულია სიგრძეში.
- „ე“ ღერძზე დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები.
- „თ“ ღერძზე შეცვლილია ღიობების რაოდენობა და გაბარიტები.
- -6.00 ნიშნულზე „მ-ლ“ მონაკვეთში ლიფტის შახტიდან დამატებულია ტექნიკური ფართი.
- „რ-მ“ მონაკვეთში შეცვლილია იატაკის ნიშნული.
- მკირედით შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია.
- „დ-ე“ ღერძებში გაუქმებულია კარი.

#5220810 ბრძანებით დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველით, საპროექტო მიწის ნაკვეთს, დასავლეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით არსებული მისასვლელი გზიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე, ხოლო დანარჩენ მხარეს სამეზობლო, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. დასაგეგმარებელ ნაკვეთთან სატრანსპორტო მიმოსვლა ხორციელდება ზემოაღნიშნული საზოგადოებრივი სივრცეებიდან.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია ღვინის ქარხნისა და მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობის (რესტორანი 25%) მშენებლობა.

დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთი ხასიათდება სწორი რელიეფურობით. დასაგეგმარებელი შენობისათვის მიწის დონე განისაზღვრა ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით და წინამდებარე დასკვნაში აღნიშნულის შესაბამისად დაიყო მიწის დონის ქვედა და მიწის დონის ზედა სართულები.

შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ქვედა I სართული (-6.00 ნიშნულზე) - კასრების და ბოთლების საცავი, ცისტერნების შესანახი ოთახი და ღვინის ბანკი;
- მიწის დონის ზედა I სართული (0.00 ნიშნულზე) - სადეგუსტაციო შოურუმი, დამხმარე ოთახები, სამზარეულო, ქვევრების ოთახი, ჩანების განყოფილება, გადამამუშავებელი და ჩამოსხმის სივრცეები, შესანახი ცისტერნების ოთახი, საწყობი, სამაცივრე, ლაბორატორია, ტექნიკური ოთახი და ტუალეტები;
- მიწის დონის ზედა II სართული (+2.52 ნიშნული) - ტექნიკური (ელექტრო) ოთახი.

საპროექტო შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებით, რომელშიც შედის ავტოსაშხეფი სისტემა, სახანძრო მილდგარების სისტემა, ხელის ცეცხლმაქრები, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები, კვამლაღმომჩენი სისტემა, ხმოვანი განგაშის სისტემისა და მხედველობითი განგაშის სისტემა.

შენობის ფასადები მოპირკეთდება - მოსაპირკეთებელი აგურის ფილით, მიმაგრებული ალუმინის საფასადე პანელებით; რაც შეეხება სახურავს: სახურავის ნაწილი იქნება ხის რეიკებით შეფუთული, ხოლო მის ზევით მოწყობილი საიზოლაციო ფენილის საფარი იქნება ტოლის ფენა. ასევე სახურავის ნაწილი იქნება კერამიკული კრამიტის.

1 გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- შენობის საპროექტო ნაწილის თითოეული სივრცე დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.

- შენობის საპროექტო ნაწილში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფი:

  - **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (ტექნიკური (ელექტრო) ოთახი +2.52 ნიშნულზე და ტექნიკური (საქვაბე) ოთახი 0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 306.2 ქვეთავს. 306.2 ქვეთავის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საქარხნო-სამრეწველო გამოყენებები, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფები.

  - **მცირე საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-2** (ჩამოსხმის, გადამუშავების ოთახები 0.00 ნიშნულზე)- შეესაბამება 306.3 ქვეთავს. 306.3 ქვეთავის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საქარხნო-სამრეწველო გამოყენებები, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც მცირე საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფები.

  - **თავშეყრის ჯგუფი თვ-2** (სადეგუსტაციო/მოურუში და სამზარეულო 0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 303.3 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება რესტორნები, კაფეები და კვების მსგავსი დაწესებულებები (მათთან დაკავშირებული კომერციული სამზარეულოს ჩათვლით).

  - **საქმიანი ჯგუფი სქ** (ლაბორატორია 0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 304.1 ქვეთავს. 304.1 ქვეთავის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობა ან მისი ნაწილი, რომელიც გამოიყენება პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვი, როგორიცაა მაგალითად საცდელ/საექსპერიმეტი და კვლევითი ლაბორტორიები.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობე ჯგუფი სწ-1** (დამხმარე ოთახები 0.00 ნიშნულზე;) - შეესაბამება 311.2 ქვეთავს. 311.2 ქვეთავის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საწყობად გამოყენებული შენობები, რომლებიც არ კლასიფიცირდება სწ-2 ჯგუფად და სადაც ინახება მუყაო და მუყაოს ყუთები, ავეჯი და არა მხოლოდ.

- **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობე ჯგუფი სწ-2** (სამაცივრე, შესანახი ცისტერნების ოთახი, სასაწყობე ოთახები, ჩანების განყოფილება და ქვევრების ოთახი 0.00 ნიშნულზე; ღვინის ბანკი, ცისტერნების შესანახი, ბოთლების და კასრების საცავები -6.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 311.3 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობა, სადაც ინახება არაწვადი მასალები, როგორიცაა მაგალითად არაუმეტეს 16%-ის ალკოჰოლის შემცველი სასმელები ლითონის, მინის ან თიხის ჭურჭელში, მინა, მინის ბოთლები, ცარიელი ან არაწვადი სითხეებით სავსე.

- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**

  - ტექნიკური ოთახები ----------27.9 მთლიანი;
  - ჩამოსხმის, გადამუშავების, ----------9.3 მთლიანი;
  - სადეგუსტაციო/მოურუმი ----------1.4 სუფთა;
  - საშზარეულო ----------18.6 მთლიანი;
  - ლაბორატორია ----------9.3 მთლიანი;
  - საწყობები, მაცივარი, შესანახი, დამხმარე და ქვევრების ოთახები -------- 46.5 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორის მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- შენობის საერთო მონაცემებზე დაყრდნობით, მისი კონსტრუქციის ტიპის (I-B) მიხედვით, სიმაღლით, სართულიანობით და ფართობით აკმაყოფილებს 503-ე ცხრილის მოთხოვნებს.

- საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია 9.20 მეტრით და შენობაში განთავსებულია მიწის დონის ზედა 2 (ორი) სართული და მიწის დონის ქვედა 1 (ერთი სართული).

- სართულზე დაკავებულობის ჯგუფის განსაზღვრა:

  - მიწის დონის ზედა II სართული ----------ჯგუფი სმ-1 (13.07 მ2)

- მიწის დონის ზედა I სართული ---------- ჯგუფი სწ-2 (662.01 მ2);
- მიწის დონის ზედა I სართული ---------- ჯგუფი სწ-1 (99.88 მ2);
- მიწის დონის ზედა I სართული ---------- ჯგუფი სმ-1 (13.05 მ2);
- მიწის დონის ზედა I სართული ---------- ჯგუფი სქ (26,47 მ2);
- მიწის დონის ზედა I სართული ---------- ჯგუფი სმ-2 (208.01 მ2);
- მიწის დონის ზედა I სართული ---------- ჯგუფი თვ-2 (229.07 მ2);
- მიწის დონის ქვედა I სართული ---------- ჯგუფი სწ-2 (929.87 მ2);

- საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (I-B) შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორადაა შერჩეული. აქვე გასათვალისწინებელია, რომ I ტიპის კონსტრუქციაში 601-ე ცხრილში ჩამოთვლილი შენობის ელემენტები არაწვადი მასალების უნდა იყოს.

- შენობის ძირითადი სტრუქტურულ ჩარჩოს, მზიდ კედლებს, იატაკის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს, სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი 601-ე ცხრილის მიხედვით უნდა განესაზღვროს შემდეგი სახით:

ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 2სთ.
გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 2სთ.
იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2სთ.
სახურავის კონსტრუქცია და არაძირითად ნაწილები ----------2სთ.
(705.11 მე-3 გამონაკლისის შესაბამისად).

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602 ცხრილის მოთხოვნებს. შენობის ასეთი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები თითოეული სართულის დონეზე, შენობის მთელ პერიმეტრზე უტოლდება 2 საათს, გამონაკლისია მხოლოდ 0.00 ნიშნულზე „1-4“ ღერძებში მოქცეული შემინული არეალი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის გათვალისწინებით.

4 | ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- შენობის ფასადებზე არსებული ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად.

- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.

- შენობას არ გააჩნია პარაპეტი, რაც დასაშვებია 705.11 ქვეთავის მე-3 გამონაკლისით, ვინაიდან სახურავის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება 2 საათს.

- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა ნაწილობრივ აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს. ის არეალები კი, რომლებიც არ არის 508.4 ცხრილის შესაბამისად გამიჯნული განხილულია როგორც გაუმიჯნავი დაკავებულობები და მათთვის გამოყენებულია მე-9 თავში გაუმიჯნავი დაკავებულობებისთვის განსაზღვრული ყველაზე მკაცრი/შემზღუდველი დებულებები.

- რაც შეეხება 707 ქვეთავის შესაბამისად ხანძრისაგან დაცული ფართობების ჩამოყალიბებას, აღნიშნული წარმოდგენილი გეგმარების მიხედვით არაა დაცული და მთელი შენობა განხილულია როგორც ერთი ხანძრისაგან დაცული შენობა და საპროექტო შენობის მთლიანი ფართობის მიხედვით არის შემდგომ განსაზღვრული მე-9 თავით დარეგულირებული ყველაზე მკაცრი დებულებები.

- ატრიუმის სივრცე მომიჯნავე სივრცეებისგან გამიჯნულია 707-ე ქვეთავის მიხედვით აგებული ერთსაათიანი ცეცხლმედეგი ზღუდით, თანახმად 404.6 ქვეთავისა.

- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

5 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- ატრიუმის სივრცეში მოწყობილია ავტოსაშხეფი სისტემა, ხოლო ატრიუმის ფართობები გამიჯნულია სხვა ფართებისაგან 707 ქვეთავის შესაბამისი 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით და 711 ქვეთავის შესაბამისი თარაზული ანაწყობებით, ავტოსაშხეფი სისტემისაგან თავის არიდების მიზნით. ყოველივე აღნიშნული დასაშვებია 404.3 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისით.

- ავტოსაშხეფი სისტემის ვალდებულება განისაზღვრა მიწის დონის ქვედა სართულისათვის, 903.2.11.1 ქვეთავის საფუძველზე.

- სხვა ფართობები თავისი მახასიათებლებით არ საჭიროებს საშხეფი სისტემით უზრუნველყოფას 903 ქვეთავის შესაბამის დებულებებზე დაყრდნობით.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- საპროექტო შენობაში არ ვრცელდება მილდგარების მოწყობის ვალდებულება, თანახმად 905.3 ქვეთავისა, თუმცა ასეთი სისტემები შენობის ორივე სართულის დონეზე განთავსებულია.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები საპროექტო შენობაში განთავსებულია 906 ქვეთავის გათვალისწინებით, მათი მონტაჟი ასევე უნდა განხორციელდეს მშენებლობის პროცესში ამავე ქვეთავის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმოჩენი სისტემები:

- შენობაში მოწყობილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რაც შეესაბამება 907 ქვეთავის მოთხოვნას.

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით, რომელიც აქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები დამონტაჟებულია შენობის მომსახურე გასასვლელის თითოეულ გზა-კართან. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 907 ქვეთავის მოთხოვნას.

- მთელი საპროექტო შენობა აღჭურვილია კვამლის ავტომატური აღმომჩენებით.

- საჯარო და საერთო გამოყენების ფართობები უზრუნველყოფილია მხედველობითი განგაშის მოწყობილობებით, თანახმად 907.5.2.3.1 ქვეთავისა.

კვამლის საკონტროლო სისტემა:

- იმის გათვალისწინებით, რომ მე-12 თავის მოთხოვნების შესაბამისად, მიწის დონის ქვედა სართულისათვის სავალდებულოა მექანიკური განიავების უზრუნველყოფა, აღნიშნული სისტემის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის ამავე სართულის დონეზე გათვალისწინებულია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაცია. კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის საინჟინრო პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას დადგენილების 909 ქვეთავის შესაბამისი მოთხოვნები.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელით, თანახმად 912 ქვეთავისა.

6 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- საპროექტო შენობის მიწის დონის ზედა I და მიწის დონის ქვედა სართული, თავისი სართულიანობით, დაკავებულობის მაჩვენებლითა და გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის გათვალისწინებით საჭიროებს 2 (ორი) გასასვლელი საშუალების მოწყობას თანახმად 1021.2 ქვეთავისა. შენობის მიწის დონის ქვედა სართულს ემსახურება ერთი გასასვლელის გზა-კიბე, ხოლო მეორე გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე. რაც შეეხება მიწის დონის ზედა I სართულს, აღნიშნულ სართულზე მოწყობილი სხვადასხვა სივრცეებიდან გარე სივრცეებში გამავალი რამოდენიმე კარი. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული ქვეთავით განსაზღვრულ მოთხოვნას.

- მიწის დონის ზედა II სართული თავისი სართულიანობით, დაკავებულობის ჯგუფითა და დაკავებულობის დატვირთვით საჭიროებს ერთი გასასვლელის მოწყობას. აღნიშნული სართულისთვის გათვალისწინებულია გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე,

- მიწის დონის ქვედა და მიწის დონის ზედა I სართულის დონეზე მინიმუმ 2 გასასვლელს შორის დაცულიასართულის მაქსიმალური დიაგონალის 1/2-ზე მეტი მანძილი, თანახმად 1015.2.1 ქვეთავით განსაზღვრული მოთხოვნისა.

- შენობაში განთავსებული თითოეული ჯგუფის დაკავებულობისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 ცხრილის მოთხოვნა, კერძოდ:

  - **სწ-2 ჯგუფის დაკავებულობისთვის** - -6.00 ნიშნულის დონეზე ღვინის ბანკის, ცისტერნების შესანახი ოთახის, ბოთლების და კასრების საცავების, 0.00 ნიშნულის დონეზე სასაწყობეს, ქვევრების ოთახის, ჩანების განყოფილების, სამაცივრე და შესანახი ცისტერნების დაკავებულობის დატვირთვა არ ცდება 29 ადამიანს.
  - სწ-1 ჯგუფის დაკავებულობისთვის - 0.00 ნიშნულზე განთავსებული #1 და #2 დამხმარე ოთახები დაკავებულობის დატვირთვა არ ცდება 29 ადამიანს.
  - სმ-1 ჯგუფის დაკავებულობისთვის - 0.00 ნიშნულის დონეზე კერძოდ ტექნიკური (ელექტრო და საქვაბე) ოთახების დაკავებულობის დატვირთვა არ ცდება 49 ადამიანს.
  - სმ-2 ჯგუფის დაკავებულობისთვის - 0.00 ნიშნულის დონეზე ჩამოსხმის და გადამუშვების ოთახების დაკავებულობის დატვირთვა არ ცდება 49 ადამიანს.
  - სქ ჯგუფის დაკავებულობისთვის - ლაბორატორიის დაკავებულობის დატვირთვა არ ცდება 49 ადამიანს.

- თვ-2 ჯგუფის დაკავებულობისთვის - სადეგუსტაციო/მოურუმის და სამზარეულოს დაკავებულობის დატვირთვა არ ცდება 49 ადამიანს.

- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.

- გასასვლელებისკენ სავალი საერთო სავალი ბილიკები, შენობასი განთავსებულის ყველა ჯგუფის დაკავებულობისთვის აკმაყოფილებს 1014.3 ცხრილის მოთხოვნებს.

- გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი გზა-კიბის გამტარუნარიანობა 0.00 და -6.00 ნიშნულების დამაკავშირებელი გზა-კიბის შემთხვევაში გაცილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.10 მეტრის სახით). წარმოდგენილი პროექტით, ზემოაღნიშნული კიბეების სიგანე შეადგენს სულ მცირე 1.37 მეტრს. რაც შეეხება +2.52 ნიშნულის მომსახურე კიბეს, აღნიშნული კიბის სიგანე 1009.4 ქვეთავის გამონაკლისის თანახმად დასაშვებია განისაზღვროს 0.90 მეტრის სახით, წარმოდგენილი პროექტით კი კიბის სიგანე კედლიდან კედლამდე შეადგენს 1.0 მეტრს. ზემოაღნიშნული კიბეების სიგანე აკმაყოფილებს როგორც 1009.4 ქვეთავით ისე 1005.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.20 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე **განსაზღვრულია სულ მცირე** 1.50 მეტრის **სახით**.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო

შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.

- სართულების მომსახურე გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბის შემოზღუდვა სავალდებულო არ არის 1009.3 ქვეთავის პირველი გამონაკლისის თანახმად.
- გზა-კიბეების საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, საბიჯეების სიღრმე განსაზღვრულია სულ მცირე 280 მმ-ით, ხოლო ამაღლება **სულ მცირე** 170 მმ-ის სახით. ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.
- გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.
- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გზა-კიბეების ზემოთ თავისუფალი გასავლელის სიმაღლე არ არის 2.05 მეტრზე ნაკლები, თანახმად 1009.5 ქვეთავისა.
- კიბეების შვეული ამაღლება არ აღემატება 3.70 მეტრს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.
- მრუდხაზოვანი კიბის საფეხურები აკმაყოფილებს 1009.7 ქვეთავის მოთხოვნებს. ასევე აღნიშნული კიბის ყველაზე პატარა რადიუსი არ არის გზა-კიბის აუცილებელ სიგანეზე ორჯერ ნაკლები.
- შენობის სახურავზე მიდგომა გზა-კიბის საშუალებით არ ესაჭიროება ოთხზე ნაკლებსართულიან შენობებს, თანახმად 1009.16 ქვეთავისა.
- გასასვლელის კარის ღიობების **ნაწილი** იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას. შენობაში ასევე მოწყობილია 1008.1.4.2 ქვეთავის შესაბამისი დენზე მომუშავე გასასვლელი კარის ღიობები, რაც დასაშვებია 1008.1.2 ქვეთავის პირველი და მეშვიდე გამონაკლისებით.
- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.
- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და

ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- ვინაიდან შენობა არ აკავშირებს სამზე მეტ სართულს, კიბის ამოსაცნობი ნიშნის მოწყობა სავალდებულო არ არის თანახმად 1022.9 ქვეთავისა.

7 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავის მოთხოვნისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა მთავარ შესასვლელე**ბ**ამდე, თანახმად 1104 ქვეთავისა.

- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა იყოს. თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავს ოთახებს, დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და მსგავს სივრცეებს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. *იხილეთ სტანდარტის შეფასება.*

- საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- შენობაში მოწყობილ სივრცეებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს. მისაწვდომი ტუალეტის ნორმები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. *იხილეთ სტანდარტის შეფასება.*

- საპროექტო შენობაში სარდაფის სართულზე არსებული სპეციალურ ტემპერატურაზე შესანახი ღვინის ბოთლების საცავები განკუთვნილია მხოლოდ თანამშრომლებისათვის და

არ არის მისაწვდომი. ასევე არ არის მისაწვდომი მიწის დონის ზედა II სართული, სადაც განთავსებულია ტექნიკური დანადგარი. ყოველივე აღნიშნული დასაშვებია 1103.2.9 და 1103.2.15 ქვეთავებით.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტთან, შესაბამისი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.
- შენობის მისაწვდომ სართულს ემსახურება მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები, მისაწვდომი შესასვლელებისა და მისაწვდომი სვლაგეზების სახით, რაც აკმაყოფილებს 1007.1 და 1007.2 ქვეთავების მოთხოვნას.

8 შიგა გარემოს შეფასება:

- ყველა სივრცე ნიავდება მექანიკურად, რაც შესაბამისობაშია 1203 ქვეთავთან.
- ტუალეტის ოთახები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- შენობა უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური საშუალო განათებულობით, რაც შეესაბამება 1205.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (ყველა გასასვლელ კართან, საერთო სარგებლობის დერეფანში, გზა-კიბეებთან). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებული ეზოები და შიგა ეზოები აკმაყოფილებს 1206.2-ე და 1206.3 ქვეთავების მოთხოვნებს.
- თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2.3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

9 გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა. საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს ბეტონის ბლოკის ანაწყობს, შესაბამისად გარე კედლისათვის არაა სავალდებულო ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტის, მათ შორის 1404.2 ქვეთავის შესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.
- რაც შეეხება გარე კედლის საფარებს, შენობის ფასადის ნაწილი წარმოადგენს მოსაპირკეთებელ აგურს, ხოლო ნაწილი მიმაგრებული ალუმინის საფასადე პანელებს (მიგთავსის გარეშე).
- შენობის ის ნაწილი, რომელიც დაფარულია ალუმინის საფაადე პანელებით, უნდა გავრცელდეს 1405.11 ქვეთავით განსაზღვრული მოთხოვნები.

10 სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

- სახურავის ანაწყობი წარმოადგენს ლითონის დგარებით ფიქსირებულ, ცეცხლმედეგი ხსნარით დამუშავებულ ხის რეიკებით შეკრული საფარს, რომლის ბურულს წარმოადგენს ტოლი.
- სახურავის წყალარინი სისტემა იყენებს 150 მმ დიამეტრის წყალსადენ მილებს, რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- შენობის სახურავის ქანობი სულ მცირე 2 %-ს შეადგენს.
- სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.

11 წყალსადენი სისტემების შეფასება:

- თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობის დასადგენად, დამკავებელთა საერთო რაოდენობა ორზე არის გაყოფილი, მოწყობილობების აუცილებელი რაოდენობის

გამოსათვლელად, მოწყობილობების პროპორცია თითოეული მოწყობილობის ტიპისთვის თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობას მიესადაგება 1602.1 ცხრილის შესაბამისად. 1602.1 ცხრილის გამოყენებისას მიღებული წილადი რიცხვები კი მომდევნო მთელ რიცხვამდეა დამრგვალებული. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1602.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- თვ-2 ჯგუფის დამკავებელთა რაოდენობა უტოლდება 155 დამკავებელს. დამკავებელთა რაოდენობა გაყოფილია ორად სქესის მიხედვით და 1602.1 ცხრილის თანახმად თითოეული სქესისათვის სავალდებულო გახდა 2 უნიტაზის და 1 ხელსაბანის მოწყობა; საპროექტო თვ-2 ჯგუფის ფართისთვის განთავსებულია 2 ქალის, 2 კაცის უნიტაზი და თითო ხელსაბანი.

- სქ ჯგუფის დამკავებელთა რაოდენობა უტოლდება 4 დამკავებელს. 1602.1 ცხრილის თანახმად სავალდებულო გახდა ორივე სქესისათვის საერთო 1 უნიტაზის და 1 ხელსაბანის განთავსება, რაც პროექტით გათვალისწინებულია.

- სმ-2 ჯგუფის დამკავებელთა რაოდენობა უტოლდება 12 დამკავებელს. 1602.1 ცხრილის თანახმად სავალდებულო გახდა ორივე სქესისათვის საერთო 1 უნიტაზის და 1 ხელსაბანის განთავსება, რაც პროექტით გათვალისწინებულია.

- სწ-1, სწ-2 და სმ-1 ჯგუფად კლასიფიცირებული სივრცეები წარმოადგენს ძირითადი ფუნქციის დამხმარე სივრცეებს, რომლებითაც ისარგებლებენ სხვა ჯგუფის დამკავებლები და რომელი ფართებიც ძირითადად იქნება დაუკავებელი, შესაბამისად დასაშვებად მიგვაჩნია აღნიშნული სივრცეებს არ ემსახურებოდეს ცალკე წყალსადენი სისტემები.

- შენობაში მოწყობილია სამომსახრეო ნიჟარები და წყლის დასალევი დისპენსერები, რაც შესაბამისობაშია 1602.1 ცხრილის მოთხოვნასთან.

- ზემოაღნიშნულ არცერთ წყალსადენთან მისადგომი ბილიკის სიგრძე არ აღემატება 150 მ-ს, რაც შესაბამისობაშია 1602.3.2 და 1602.5 პუნქტების მოთხოვნასთან.

12 ლიფტების და გადამზიდი სისტემების შეფასება:

- თანახმად 1702.1 ქვეთავისა შენობაში მოწყობილი ლიფტის შახტის შემომზღუდავები 707 ქვეთავის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, კერძოდ: ვინაიდან შენობაში მოწყობილი სატვირთო

ლიფტი აკავშირებს მხოლოდ 2 (ორ) სართულს, ლიფტის შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 1 საათს თანახმად 713.4 ქვეთავისა.

- ლიფტის გამოძახების სადგურთან სტანდარტული დიზაინით შესრულებული გრაფიკული ნიშანია განთავსებული, რომელიც დამკავებლებს ამცნობს, რომ ხანძრისას უნდა გამოიყენონ გასასვლელის გზა-კიბე და არა ლიფტი. ნიშანზე წერია: „ხანძრის დროს ლიფტები არ მუშაობს. ისარგებლეთ კიბით“, რაც შეესაბამება 1702.3 ქვეთავს.

- ვინაიდან ლიფტის შახტა აკავშირებს მხოლოდ ორ სართულს, ლიფტის შახტს არ ესაჭიროება ფოიე, რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავით.

13 ატრიუმის შეფასება:

- შენობაში განთავსებული ატრიუმის იატაკი მოეწყობა სახანძრო თვალსაზრისით, მკირე საფრთხის შემცველი მასალებითა და დეკორაციებით, თანახმად 404.2 ქვეთავისა.

- ვინაიდან ატრიუმი მის მომიჯნავედ ან ზემოთ მდებარე ფართობებიდან გამიჯნულია 707 ქვეთავის შესაბამისად აგებული, არანაკლებ 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით და 711 ქვეთავის შესაბამისად აგებული თარაზული ანაწყობებით, მთლიანი შენობის ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვა საჭიროებულო არ არის თანახმად 403. ქვეთავის პირველი გამონაკლისით.

- ვინაიდან შენობაში მოწყობილი ატრიუმი ერთმანეთთან აკავშირებს მხოლოდ ორ სართულს, მასზე არ ვრცელდება 907.2.14 ქვეთავის მოთხოვნა.

- ვინაიდან შენობაში მოწყობილი ატრიუმი ერთმანეთთან აკავშირებს მხოლოდ ორ სართულს, კვამლის საკონტროლო სიტემის მოწყობა საჭიროებულო არ არის 404.5 ქვეთავის გამონაკლისის თანახმად.

- 404.6 ქვეთავის თანახმად ატრიუმის სივრცე მომიჯნავე სივრცეებისგან გამიჯნული უნდა იყოს 707 ქვეთავის მიხედვით აგებული 1 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდებიით და 711

ქვეთავის მიხედვით აგებული თარაზული ანაწყობებით, რაც საპროექტო დოკუმენტაციით დაკმაყოფილებულია.

ამავე ქვეთავის გამონაკლისით დასაშვებია ატრიუმის სივრცე სხვა სივრცეებისგან გამიჯნულ იქნას მინის კედლით, რომელიც კვამლგაუმტარ კედელს ქმნის და რომელიც აკმაყოფილებს 404.6 ქვეთავის გამონაკლისის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილი, რომელიც ატრიუმის სივრცეშია მოქცეული და კვეთს მას, არ აღემატება 60 მ-ს, რაც აკმაყოფილებს 404.9 ქვეთავის მოთხოვნას.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივაჩნია, რომ ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის #4-ში, #72.12.02.281 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ღვინის ქარხნისა და მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან.

ასევე ვადასტურებ, რომ არქიტექტურული პროექტი შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე.

არქიტექტურულ პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი:
ვ. ზაგაშვილი

შპს „BSC“-ს ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი:

თარიღი: 10.01.2024

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

ABM 2022: 2021 IBC Changes

on 13 September, 2022

1.5 Contact Hours/ .15 CEUs

Tamta Sulava

Matthew L. Winn
MBA, CiRM, CGMA, CPA
Senior Vice President of Training

n/a
Instructor

ICC TRAINING

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-33635

AUTHORIZED IACET PROVIDER IC10322

HSW yes

This certificate is the property of ICC and must be returned to ICC in the event of suspension or revocation of the certificate.

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

ABM 2022: 2021 IBC Changes

on 13 September, 2022

1.5 Contact Hours/ .15 CEUs

Vera Zagashvili

Matthew L. Winn
MBA, CiRM, CGMA, CPA
Senior Vice President of Training

n/a

Instructor

ICC TRAINING

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-33635

AUTHORIZED IACET PROVIDER

IC10322

HSW yes

This certificate is the property of ICC and must be returned to ICC in the event of suspension or revocation of the certificate.

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

ABM 2022: 2021 IFC Changes

on 13 September, 2022

1.5 Contact Hours/ .15 CEUs

Tamta Sulava

Matthew L. Winn
MBA, CiRM, CGMA, CPA
Senior Vice President of Training

n/a

Instructor

ICC TRAINING

PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-33634

AUTHORIZED IACET PROVIDER

IC10321

HSW yes

This certificate is the property of ICC and must be returned to ICC in the event of suspension or revocation of the certificate.

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

ABM 2022: 2021 IFC Changes

on 13 September, 2022

1.5 Contact Hours/ .15 CEUs

Vera Zagashvili

Matthew L. Winn
MBA, CiRM, CGMA, CPA
Senior Vice President of Training

n/a

Instructor

ICC TRAINING

PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-33634

AUTHORIZED IACET PROVIDER IC10321

HSW yes

This certificate is the property of ICC and must be returned to ICC in the event of suspension or revocation of the certificate.

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

ABM 2022: Online Services - Permitting, Plan Review and Remote Inspections

on 13 September, 2022

1.5 Contact Hours/ .15 CEUs

Tamta Sulava

Matthew L. Winn
MBA, CIRM, CGMA, CPA
Senior Vice President of Training

n/a

Instructor

ICC TRAINING

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-33639

AUTHORIZED IACET PROVIDER

IC10348

HSW no

This certificate is the property of ICC and must be returned to ICC in the event of suspension or revocation of the certificate.

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

ABM 2022: Online Services - Permitting, Plan Review and Remote Inspections

on 13 September, 2022

1.5 Contact Hours/ .15 CEUs

Vera Zagashvili

Matthew L. Winn
MBA, CiRM, CGMA, CPA
Senior Vice President of Training

n/a

Instructor

ICC TRAINING

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-33639

AUTHORIZED IACET PROVIDER

IC10348

HSW no

This certificate is the property of ICC and must be returned to ICC in the event of suspension or revocation of the certificate.

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2024 IBC/IEBC Significant Changes (ABM)

on 10 October, 2023

1.5 Contact Hours/ 0.15 CEUs

Tamta Sulava

Matthew L. Winn
MBA, CIRM, CGMA, CPA
Senior Vice President of Training

n/a

Instructor

ICC TRAINING

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER

AUTHORIZED IACET PROVIDER

HSW

This certificate is the property of ICC and must be returned to ICC in the event of suspension or revocation of the certificate.

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2024 IBC/IEBC Significant Changes (ABM)

on 10 October, 2023

1.5 Contact Hours/ 0.15 CEUs

Vera Zagashvili

Matthew L. Winn
MBA, CIRM, CGMA, CPA
Senior Vice President of Training

n/a

Instructor

ICC TRAINING

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER

AUTHORIZED IACET PROVIDER

HSW

This certificate is the property of ICC and must be returned to ICC in the event of suspension or revocation of the certificate.

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Fire Safety in the IBC (ABM)

on 10 October, 2023

1.5 Contact Hours/ 0.15 CEUs

Tamta Sulava

Matthew L. Winn
MBA, CIRM, CGMA, CPA
Senior Vice President of Training

n/a

Instructor

ICC TRAINING

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER

AUTHORIZED IACET PROVIDER

HSW

This certificate is the property of ICC and must be returned to ICC in the event of suspension or revocation of the certificate.

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Fire Safety in the IBC (ABM)

on 10 October, 2023

1.5 Contact Hours/ 0.15 CEUs

Vera Zagashvili

Matthew L. Winn
MBA, CIRM, CGMA, CPA
Senior Vice President of Training

n/a

Instructor

ICC TRAINING

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER

AUTHORIZED IACET PROVIDER

HSW

This certificate is the property of ICC and must be returned to ICC in the event of suspension or revocation of the certificate.

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2024 IFC Significant Changes (ABM)

on 10 October, 2023

1.5 Contact Hours/ 0.15 CEUs

Tamta Sulava

Matthew L. Winn
MBA, CIRM, CGMA, CPA
Senior Vice President of Training

n/a

Instructor

ICC TRAINING

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER

AUTHORIZED IACET PROVIDER

HSW

This certificate is the property of ICC and must be returned to ICC in the event of suspension or revocation of the certificate.

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2024 IFC Significant Changes (ABM)

on 10 October, 2023

1.5 Contact Hours/ 0.15 CEUs

Vera Zagashvili

Matthew L. Winn
MBA, CIRM, CGMA, CPA
Senior Vice President of Training

n/a

Instructor

ICC TRAINING

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER

AUTHORIZED IACET PROVIDER

HSW

This certificate is the property of ICC and must be returned to ICC in the event of suspension or revocation of the certificate.

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Exterior Wall and Opening Protection

at

2019 ABM Las Vegas

on

22 October, 2019

0.3 CEU

Vera Zagashvili

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

n/a

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21821

AIA: IC9786

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Mixed Occupancies

at

2019 ABM Las Vegas

on

21 October, 2019

0.15 CEU

Vera Zagashvili

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

n/a

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21800

AIA: IC9693

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Use of Fire and Smoke Separations

at

2019 ABM Las Vegas

on

21 October, 2019

0.15 CEU

Vera Zagashvili

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21794

AIA: IC9687

HSW:

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Accessible Means of Egress

at

2019 ABM Las Vegas

on

22 October, 2019

0.3 CEU

Vera Zagashvili

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

n/a

Instructor

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21809

AIA: IC9734

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Accessible Means of Egress

at

2019 ABM Las Vegas

on

22 October, 2019

0.3 CEU

Tamta Sulava

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

n/a

Instructor

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21809

AIA: IC9734

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Mixed Occupancies

at

2019 ABM Las Vegas

on

21 October, 2019

0.15 CEU

Tamta Sulava

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

n/a

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21800

AIA: IC9693

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Use of Fire and Smoke Separations

at

2019 ABM Las Vegas

on

21 October, 2019

0.15 CEU

Tamta Sulava

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21794

AIA: IC9687

HSW:

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Exterior Wall and Opening Protection

at

2019 ABM Las Vegas

on

22 October, 2019

0.3 CEU

Tamta Sulava

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

n/a

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21821

AIA: IC9786

HSW: yes

8222930

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2018 IBC Essentials: Building Planning

at

ABM in Richmond, Virginia

on

29 October, 2018

0.3 CEU

Vera Zagashvili Mrs.

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson
Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL®

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-17990

AIA: IC9449

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2018 IBC Essentials: Means of Egress & Fire Protection

at

ABM in Richmond, Virginia

on

29 October, 2018

0.3 CEU

Vera Zagashvili Mrs.

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson
Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL®

LEARNING center

PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-17999

AIA: IC9419

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2018 IBC Essentials: Building Planning

at

ABM in Richmond, Virginia

on

29 October, 2018

0.3 CEU

Tamta Sulava Mrs.

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson
Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL®

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-17990

AIA: IC9449

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2018 IBC Essentials: Means of Egress & Fire Protection

at

ABM in Richmond, Virginia

on

29 October, 2018

0.3 CEU

Tamta Sulava Mrs.

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson
Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-17999

AIA: IC9419

HSW: yes


ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017 – 040

გადაეცემა

თამთა სულავას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი


ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017 –039

გადაეცემა

ვერა ზაგაშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო"

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

აქტი: **ა60.01180301**

თარიღი: **30.01.2018**

ც ნ ო ბ ა

ეძლევა თამთა სულავას (პირადი №01026015533) მასზედ, რომ იგი 2010 წლის 02 აგვისტოდან 2017 წლის 01 ივლისამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის I და II კლასის შენობა – ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ლევან გოროზია

აქტი: **ა60.01180302**

თარიღი: **30.01.2018**

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ვერა ზაგაშვილს (პირადი №01008020599) მასზედ, რომ იგი 2009 წლის 05 აგვისტოდან 2017 წლის 01 ივლისამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის I და II კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ლევან გოროზია

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

BACHELOR'S

DIPLOMA

BA № 000445

This is to certify that by the decision September 20, 2007.

of the Architecture, Urban Planning and Design faculty

of the Technical University of Georgia

Ms. Vera Zagashvili

born on July 8, 1986.

was awarded an academic Degree of Bachelor with Major in

Architecture

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi April 24, 2008. Registration No 00404

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბაკალავრის

დიპლომი

BA № 000445

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2007 წლის 20. 9 გადაწყვეტილებით

ვერა ზაგაშვილს

დაბადებულს 1986 წლის 8 ივლისს

მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ბ. ა

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 24/04/2008 სარეგისტრაციო # 00404

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
APOLLON KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

#07/14-539

27 03 2015

ცნობა

თამთა სულავა 2006 წლის 2 სექტემბერს №003 ს/ხ ბრძანების საფუძველზე ჩაირიცხა სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ბაკალავრიატის I სემესტრში. 4 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, 2010 წლის 13 აგვისტოს №112 ს/ხ ბრძანების საფუძველზე დაიცვა სადიპლომო ნამუშევარი და მიენიჭა არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

რექტორი გიორგი გუგუშვილი

საქართველო, 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22, ტელ: (+995 320) 2 936 959, ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 934 665
22, Griboedov str. 0108, Tbilisi, Georgia, tel : (+995 32) 2 936 959, tel/fax: (+995 32) 2 934 665, www.art.edu.ge

GEORGIA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

MASTER'S

DIPLOMA

MD № 001548

By the decision N 2 July 28, 2010

of the faculty of

Architecture, Urban Planning and Design

Ms. Vera Zagashvili

was awarded the Degree of Master of

Engineering in

Architecture

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის

დიპლომი

MD № 001548

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2010 წლის 28. 7 № 2

გადაწყვეტილებით ვერა ზაგაშვილს

მიენიჭა ინჟინერინგის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

არქიტექტურის სპეციალობით.

Registration № 01546

თბილისი
Tbilisi

25 რიცხვი/day 3 თვე/month 2011 წელი/year

დეკანი
Dean

/ გოგა მიქიაშვილი /

რექტორი
Rector

/ არჩილ ფრანგიშვილი /

Seal